ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 370

18 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 04 დეკემბრის №18.960.1402 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებულ პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ლარად) პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**